№ 20 1865 წ. ოკტომბრის 15 № 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბარება შეიძლება ტფილისითგან:
ი. კერესელიძის სტამბაში.
კუკიას, საკუთარს სახლში.

# გუთნის-დედა

## მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ კელის მომწერთათჳს ერთი მანეთი, ხოლო სხვათათჳს ორი მანეთი.

---

### განცხადება.

კავკასიის მამულის მართვის საზოგადოების ზაპისკების გამოცემაზე **1864** წ.

---

კავკასიის მამულის მართვის საზოგადოების ზაპისკები გამოვა **1864** წელს შემდგომის პროგრამმით:

**1**) მთავრობის განკარგულებაები, რაც რამ შეეხება მამულის მართველს.

**2**) მამულის მოვლის ჟურნალების განხილვა.

**3**) მამულის მოვლის შესახებ სტატიები.

**4**) სხვა და სხვა ცნობაები.

**5**) რაც რამ გადაწყდება მამულის მოვლის საზოგადოებაში და საზოგადო შეკრებილებაში.

**6**, განცხადება მამულის მოვლის შესახებ; თესლეულის გასყიდვაზე, ბაღეულსა, ბოსტნეულისა და სხ. სახნავ სათეს იარაღზედ და მაშინებზედ.

ყოველს ნუმერში იქნება მხატრობა, რომლისამე მცენარისა, ან მაშინისა. ამას გარდა ყოველ ნუმერთან კელის მომწერთ გაეგზავნებათ საგანგებო მცენარის თესლეული, მხოლოდ იმ პირთ გაეგზავნებათ, რომელნიც **15** თებერვლამდინ კელს მოაწერენ ზაპისკებზედ.

ზაპისკები გამოვა ორ თვეში, **5**-დგან **7** დიდი ტანის თაბახამდინ.

ფასი წელიწადში არის სამი მანეთი გაგზავნით, ზაპისკების მოთხოვნა შეიძლება, კავკასიის მამულის მოვლის საზოგადოების კანცელიარიითგან, რომელიცა იმყოფება ქ. ტფილისში, ზარაფოვის სახლებში, ბულვარზედ.

რედაკტორი, აგრონომი ნ. სიტოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება.

**1864** წელსა, «გუთნის-დედის» გაზეთი, გამოვა იმავე სახით, რა სახითაც გამოდიოდა ამ ორის წლის განმავლობაში. გაზეთის თანამშრომლები არიან, მამულის მოვლაში დახელოვნებული აგრონომები და ვიმედოვნებთ, დიდს სარგებლობას მისცემს ჩვენ მკითხველებს, უმეტესად მებატონეებს, რომელთათვისაც ეს საგანი შეადგენს უმთავრეს საჭიროებას. ფასი ისივე არის, რაც აქამდინ იყო. ვინც «ცისკარს» იბარებს ერთი მანეთი წელიწადში და ვინც არ იბარებს ორი მანეთი.

---

## «ცისკრის» რედაქციისაგან.

მომავალს, **1864** წლიდგან ჩუჱნი «ცისკარი» გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე თანამშრომლებთ შემწეობით, რა მიმართულებითაც გამოდიოდა. ჩუჱნ ვერას ვიტყვით შესახებ ჟურნალისა ამის მეტს, რომ საზოგადოებამ საკმაოდ დაინახა და საკმაოდ სცნო ღირსება შჳდის წლის ნამუშაკარისა, მხოლოდ ამას ვითხოვთ, ვისაც სურდეს დაბარება «ცისკრისა» დროით აცნობონ რედაქციასა და თან წარმოადგინონ ხვედრი ფასი.--

## წინათ მეტყობა ამინდისა.

ამინდის ცვლილება ჩვეულებაა ჩვენის ჰავისა. მთიან ქვეყანას მეტადრე ცხელსა ეს დასდევს ყველგან და სადაც მთებია იქ დადგრომილება ამინდისა იშვიათია; წვიმას, ქარს, სეტყვას არა აქვს გადაკვეთილი დრო და ვერვის შეუძლიან შეიტყოს, როდის მოვა ერთი და როდის მეორე. მაგრამ არავისათვის არ არის ახალი ამბავი და ყველას გაუგია, რომ დაჟინებული წვიმის ანუ თოვლის დროს გახსნიან წიგნსა და დავარდება ხმა, რომ ამა და ამ დღეს უნდა გადაიღოს წვიმამ ანუ თოვლმა და დარი გამოვიდესო, ეს წიგნები ბევრი წილი სომხურია, ვინიცის რა ქმისა და თუმცა წინასწარ მეტყველება იმათი ათასჯერ გაცრუებულა, მაინც აქამდისინ არ დაუკარგავთ ხალხში პატივი და რწმუნება, ამათი წინად მეტყობა ისე მართალია, როგორც ქერის ყრა, მისნობა და მკითხაობა, დაბადებული ცრუ მორწმუნებისა, სიზარმაცისა და სიგლახაკისაგან. დიდი ხანია, რაც მეცნიერები ათვალიერებენ და შეისწავლიან ყოვლის ღონისძიებითა ჰავის ცვლილებასა და აქამდისინ ვერ უპოვნიათ საფუძველი ჰავის მეტყობისა. წინათ გრძელის ხანისა ჩინებული ფრანციული ვარსკვლავთ მრიცხველი არაგო ამბობდა ამ ათი წლის წინ, ყველა მეცნიერება ჩვენი უღონოაო, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გვაძლევს ჰავის წინათ მეტყობის ღონისძიებასაო. თუ კი არავინ ამას ამბობს, ძნელია მიხვდეს კაცი. თუ საიდამ გამოუტანიათ ზემო ხსენებულ წიგნების მთხზველებსა თავიანთი საკვრველი მეცნიერება და რათა ჰყავს ამთენი მსმენელი ცხადს და თვალ საჩენს სიცრუესა. ევროპაშიაც ბევრნი გამოჩენილან ამინდის წინასწარ მეტყველები, მაგრამ დაცინებისა და კიცხვის მეტი არა გაუტანიათ რა. გაკიცხული მეტად ისინი რჩებიან, რომელნიც ამინდს იტყობენ რამდენიმე წლის წინათ და გამოსცემენ კალენდრებსა, რომელშიაც გამოცხადებულია ამინდი თვითეულის დღისა. ამ ცოტა ხანში მეცნიერები შეუდგნენ დარის მეტყობასა იმას მიხედვით, თუ წასულ წელიწადებში როგორი დარი ყოფილა ამა და ამ დროს, და აქამდისინ მხოლოდ შეუძლიანთ თქვან რომ ხვალ ანუ ხვალ ზეით ამა და ამ ადგილას ესა და ეს დარი იქნებაო და ვერ გაუბედნიათ თქმა რისამე ამინდზედ, რომელიც უნდა იყოს ერთი კვირის, და ერთი თთვის ანუ წლის შემდეგ. ანგლიური ადმირალი ფიც-როუ სამი დღით წინა ტყობულობს თუ რა დარი დაუდგება ანგლიაში ზღვის ნაპირებზედ და ეს ორიოდ კვირა რაც პარიჟის ობსერვატორია (*) აცხადებს წინადღით თუ ხვალე რა დარი იქნება საფრანციის მხრივ ზღვის ნაპირზედ, საიდამ იქნება ქარი, წვიმა, იქნება თუ მოწმენდილი. აი როგორი ახალია და სუსტი სწავლა ამინდის მეტყობისა. ესე იგი შევიტყობთ თუ რა ღირსება უნდა ჰქონდეს ძველი წიგნების წინასწარმეტყველებასა დარის მოსვლაზედ. აქედამ უნდა გამოირიცხოს მხოლოდ ერთი ფრანციელი ამინდის მეტყობი მათთიო, რომელიც თუმცა ისე არ არი თავდაბალი და ფრთხილი, ადმირალი ფიც-როუ და პარიჟის ობსერვატორია, მაინც დიდ ყურადღებას აძლევენ იმის წინასწარ მეტყველობასა ჰავაზედ, რადგანაც საფუძვლად აქვს მეცნიერების დათვალიერება და მეტყობილი ცნობაები და არა თავისი ფანტაზია. ბევრი იმისი ნათქვამი გამართლებულა კიდეცა. ვაცნობებთ ჩვენ მკითხველებსა მაგალითისათვის, თუ როგორ წინასწარმეტყველობს უფ. მათთიო მომავალის ქრისტიშობის თთვისათვის.

ეს თთვე დიდი საშიშია დასავლეთ ევროპაში. პირველ ოც დღეს მოვა დიდი წვიმა და თოვლი. ხუთში და ექვსში იქნება საშინელი ქარიშხალი. ქრისტიშობის გასულს და იანვრის დამდეგს კიდევ მოვა ნიაღვარი. თუ პარიჟში ქრისტიტიშობის თთვეს სამი წილი წვიმა იქნება და ერთი წილი თოვლი, დიდი უბედურე-

(*) ობსერვატორია არის სახლი კოშკიანი, საიდამაც მეცნიერები ათვალიერებენ პლანეტების მოძრაობასა და ჰავის ცვლილებასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეწვევა ფრანციასა. ამ თთვის პირველიდგან ათამდინ დიდი ღვარები დაიწყებს დენასა; ათიდამ ოცამდე აღელდება ხევები; ოცდა რვიდამ ხუთ იანვრამდე აღელდებიან მდინარები დალუპავენ ნაპირის ადგილებსა. აქ პარიჟის დაცემული უბნები აივსებიან წყლითა. წარღვნა გაგრძელდება რვა დღეს. თუ თოვლმა დააჭარბა, მაშინ შიში იქნება მთის ახლო სოფლებში დიდი თოვლის გორებისაგან.

მომავალი გვაჩვენებს იმ სიტყვების სიმართლესა, კადნიერებაკი, რომლითაც არიან გამოთქმულნი მოასწავებს შეცთომასა.

ი. ს.

---

სასუქის მიცემისათვის.

მიწის ნიადაგში უნდა მოიპოვებოდეს ის ნივთიერება, რომელიც ზრდის მცენარესა. რომელი არის ის ნივთიერება, საიდან დაიწყობს სათავე და როგორ განვსაზღვრავთ?

ხიმიურათ რომ გავჩხრიკოთ ნაცარი, მაშინ შეიძლება თვითოეულად განვმარტოთ.

ვერც მცენარე აღმოცენდებოდა და ვერც გაიზრდებოდა თუ არ ყოფილიყო მიწაში საჭირო ნივთიერება.

უნდა მივცეთ ნიადაგს იმ გვარი ნივთიერება, რომელიცა აკეთებს.

მალა, ამას გარდა შავი მიწაც აძლევს რომელიცა არის ნიადაგში.

ის აძლევს მცენარეს ამონიაკს და ნახშირ მჟავედს, რომელიცა აგრეთვე საჭირონი არიან გამოსაზრდელათა, როგორც სხვა ნაწილები, რომელნიცა აკეთებენ მიწას.

ველური მცენარენი იზრდებიან ერთმანერთზედ ახლოს, ძირი, ანუ ფოთოლი როდესაც სცვივა, ლპება და ის აძლევს შავს მიწასა, ახალ მცენარეთათვის, მაგრამ, ის შავი მიწა მაინც საკმაო არ არის, ამისათვის ველურის მცენარე სუსტია და უღონო.

მიწა გაკეთდება ორ გვარად: პირველი გვარი ის არის, როდესაც მოუმატებენ მიწასვანვე სასუქს და მეორე პირუტყვის ანუ მცენარის სასუქს.

ის მოქმედებს მიწაზედ; აკეთებს და ათბობს. ამასთანავე აძლევს მასალასა გამოზრდისათვის, აფხიზლებს ნიადაგსა, უკარგავს სიმაგრესა და მრიელ ალბილებს.

კირი, კირთაგანი მიწა, მელი, ალაბასტრი და სხ. ნაცარი და საქი აგრეთვე ეკუთვნიან ამ გვარს ნივთიერებასა.

Дозволено цензурою 1863. г. Октября 15.г. Тифлисъ. Цензоръ Кантмазовъ.